



კვირის მიმოხილვა

კვირის მიმოხილვა | საქართველო
9 ნოემბერი 2015

ეკონომიკა

ინფლაცია: საქსტატის თანახმად, 2015 წლის ოქტომბერში წლიურმა ინფლაციამ 5.8% შეადგინა. ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ზრდამ შემდეგ ჯგუფებზე: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები (+4.1%), ჯანმრთელობის დაცვა (+11.1%) და ავეჯი და საოჯახო ნივთები (+13.1%). ფასები შემცირდა ტრანსპორტის კატეგორიაში (-1.1%).

2015 წლის ოქტომბერში წინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონემ 0.8% შეადგინა. თვის ინფლაციის შედარებით მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა შემდეგ ჯგუფებში: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები (+0.9%) და ჯანმრთელობის დაცვა (+2.0%). ამასთან, თვიურად ფასები შემცირდა ტრანსპორტის კატეგორიაში (-0.8%).


ტურიზმი: შსს-ს ინფორმაციით, 2015 წლის ოქტომბერში საქართველოში შემოსული ვიზიტორების რაოდენობა, წინა წლის ოქტომბერთან შედარებით 7.3%-ით გაიზარდა და 0.5 მლნ ვიზიტორი შეადგინა. ვიზიტორების ზრდის ყველაზე მაღალი ტემპები დაფიქსირდა სომხეთიდან (+9.2% წ/წ, მთლიანის 25.5%), აზერბაიჯანიდან (+5.1% წ/წ, მთლიანის 21.6%) და რუსეთიდან (+15.3% წ/წ, მთლიანის 15.5%). 2015 წლის 10 თვეში, ვიზიტორების რაოდენობა გაიზარდა 6.8%-ით და 5.0 მლნ ვიზიტორი შეადგინა.

ბიუჯეტი: სახაზინო სამსახურის ინფორმაციით, 2015 წლის ოქტომბერში ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები წლიურად 6.8%-ით გაიზარდა და 616.5 მლნ ლარი შეადგინა. ამასთან, 2015 წლის 10 თვეში საგადასახადო შემოსავლები გაიზარდა 10.9%-ით და 6.5 მლრდ ლარი შეადგინა. აქედან, შემოსავლები გაიზარდა შემდეგი გადასახადებიდან (რომლებიც ჯამურად მთლიანი საგადასახადო შემოსავლების 99.1%-ია): საშემოსავლო გადასახადი +15.0% წ/წ, მოგების გადასახადი +29.0% წ/წ, დღგ +6.9% წ/წ, აქციზი +5.6% წ/წ და ქონების გადასახადი +7.2% წ/წ. საგადასახადო შემოსავლები შემცირდა მხოლოდ იმპორტის და სხვა გადასახადების კატეგორიებში, თუმცა მათი წილი უმნიშვნელოა.


საერთაშორისო რეზერვები: საქართველოს ეროვნული ბანკის თანახმად, 2015 წლის ოქტომბერში ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები წინა თვესთან მიმართებაში 0.6%-ით, ხოლო წლიურად 8.0%-ით შემცირდა და 2.4 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. რეზერვების კლებაზე გავლენა იქონია ოქტომბერში ეროვნული ბანკის მიერ სავალუტო ბაზარზე 20 მლნ აშშ დოლარის გაყიდვამ.

მონეტარული პოლიტიკა: საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2015 წლის 4 ნოემბერს რეფინანსირების განაკვეთი 50 საბაზისო პუნქტით, 7.5%-მდე გაზარდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სებ-მა მიიღო ლარის გაუფასურებიდან გამომდინარე გაზრდილი ინფლაციური მოლოდინების საპასუხოდ; ამასთან, არსებული საგარეო შოკიდან კურსზე დამატებით ზეწოლას სებ-ი არ ელოდება. სებ-ის ინფორმაციით, 2016 წლის მეორე ნახევარში ინფლაცია 5.0%-იან მიზნობრივ მაჩვენებელს მიაღწევს. კომიტეტის შემდეგი სხდომა 2015 წლის 16 დეკემბერს გაიმართება.

წლიური ინფლაცია



თვის ინფლაცია



წყარო: საქსტატი

ეკონომიკური ინდიკატორები


	9 თვე 2015	2014	2013
მშპ (%-ლი ცვლილება)	2.7%	4.8%	3.3%
მშპ ერთ სულზე (ppp)	...	7,653	7,180
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	...	3,681	3,600
მოსახლეობა (მლნ)	3.7*	4.5	4.5
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	5.8%**	2.0%	2.4%
მთლიანი რეზერვები (მლრდ აშშ \$)	2.4**	2.7	2.8
მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (მშპ-ს %)	...	10.6%	5.8%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	...	3.0%	2.6%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	...	35.5%	34.7%

წყარო: ოფიციალური მონაცემები

* აღწერის წინასწარი შედეგები

** 2015 წლის 10 თვის მდგომარეობით

მშპ-ს რეალური ზრდა, %



წყარო: საქსტატი

შენიშვნა: 3Q15-ს ზრდა მოცემულია წინასწარი შეფასებით

საქართველო საერთაშორისო რეიტინგებში, 2015-2016

- ბიზნესის კეთების სიმარტივე №24 (რეგიონის ლიდერი)
- ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი №22 (ძირითადად თავისუფალი)
- გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი №66 (გაუმჯობესებული ტენდენცია)

წყარო: მსოფლიო ბანკი, Heritage Foundation და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი

საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი

STANDARD & POOR'S BB- სტაბილური დასატრფილი მაისი-2015	Moody's INVESTORS SERVICE Ba3 პოზიტიური დასატრფილი მარტი-2015	FitchRatings BB- სტაბილური დასატრფილი ოქტომბერი-2015
---	---	--

წყარო: სარეიტინგო სააგენტოები




ფულადი ბაზარი

რეფინანსირების სესხები: საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გასულ კვირას 700 მლნ ლარის (292.1 მლნ აშშ დოლარი) ღირებულების 7-დღიანი რეფინანსირების სესხები გასცა. საპროცენტო განაკვეთმა საშუალოდ 7.5% შეადგინა.

სადეპოზიტო სერტიფიკატები: საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გასულ კვირას 91-დღიანი, 20 მლნ ლარის (8.3 მლნ აშშ დოლარი) ნომინალური ღირებულების სადეპოზიტო სერტიფიკატები გაყიდა. საპროცენტო განაკვეთმა საშუალოდ 10.04% შეადგინა (2 საბაზისო პუნქტით ნაკლები წინა განთავსებასთან შედარებით).


საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2015 წლის 4 ნოემბერს 2-წლიანი 10 მლნ ლარის (4.2 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის სახაზინო ვალდებულებები გაყიდა. საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 13.60% შეადგინა. უახლოესი აუქციონი დაგეგმილია 2015 წლის 11 ნოემბერს, სადაც 1-წლიანი 10 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები გაიყიდება.

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სებ
შენიშვნა: ბოლო აუქციონის მონაცემები

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი




წყარო: სებ

სადეპოზიტო სერტიფიკატები (საშუალო შეწონილი განაკვეთი)



წყარო: სებ

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სებ
შენიშვნა: ინდექსის ზრდა ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას, ხოლო კლება - გაცვლითი კურსის გაუფასურებას




ობლიგაციები

კორპორატიული ევრობლიგაციები: საქართველოს ბანკის ევრობლიგაციები (GEBGG) დაიხურა 5.2%-იანი შემოსავლიანობით, ფასით - 103.9 (უცვლელი წინა კვირასთან შედარებით). საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ევრობლიგაციებით (GEOROG) ვაჭრობა დაიხურა ფასით - 101.1 (უცვლელი წინა კვირასთან შედარებით), 6.1%-იანი შემოსავლიანობით, ხოლო საქართველოს რკინიგზის ევრობლიგაციები (GRAIL) ივაჭრებოდა 105.8 ფასად (+0.2% წინა კვირასთან შედარებით), 6.7%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს სუვერენული ევრობლიგაციები (GEORG) დაიხურა ფასით - 107.3 (უცვლელი წინა კვირასთან შედარებით), 5.3%-იანი შემოსავლიანობით.


ევრობლიგაციები (შემოსავლიანობა %)



	ადგილობრივი ობლიგაციები			ევრობლიგაციები			
	M2RE 03/17	EVEX 05/17	GLC 09/17	GEOROG 05/17	GEBGG 07/17	GEORG 04/21	GRAIL 07/22
მოცულობა მლნ აშშ \$	20	15	10	250	400	500	500
გამოშვების თარიღი	03/15	05/15	09/14	მაი-2012	ივლ-2012	აპრ-2011	ივლ-2012
დაფარვის თარიღი	03/17	05/17	09/17	მაი-2017	ივლ-2017	აპრ-2021	ივლ-2022
კუპონი, %	9.500	9.500	8.750	6.875%	7.750%	6.875%	7.750%
Fitch/S&P/Moody's	-/-	-/-	-/-	BB-/B+/-	BB-/BB-/Ba3	BB-/BB-/Ba3	BB-/BB-/
საშუალო ფასი, აშშ \$	99.0	100	98.0	101.1	103.9	107.3	105.8
საშუალო პროცენტი %	10.1	9.5	9.7	6.1	5.2	5.3	6.7
Z-spread, bps	n/a	n/a	n/a	565.6	424.1	350.2	477.8

წყარო: ბლუმბერგი

საქართველოს ევრობლიგაციების ბაზარი



აღმოსავლეთ ევროპის 10-წლიანი სუვერენული ევრობლიგაციების ძირითადი მონაცემები

ქვეყანა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი, %	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody's)	საშუალო ფასი, აშშ \$	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
საქართველო	500	6.875%	12/04/2021	BB-/BB-/Ba3	107.3	5.3	350.2
აზერბაიჯანი	1,250	4.750%	18/03/2024	BBB-/Baa3	96.5	5.3	316.2
ბულგარეთი	323	5.000%	19/07/2021	BBB-/	119.3	1.5	-231.8
ხორვატია	1,250	3.875%	30/05/2022	BB/BB/Ba1	100.1	3.8	327.1
უნგრეთი	3,000	6.375%	29/03/2021	BB+/BB+/Ba1	114.4	3.4	153.4
რუმინეთი	2,250	6.750%	07/02/2022	BBB-/BBB-/Baa3	118.3	3.5	166.0
რუსეთი	3,500	5.000%	29/04/2020	BBB-/BB+/Ba1	105.7	3.6	198.4
თურქეთი	2,000	5.625%	30/03/2021	BBB-/Baa3	107.3	4.1	234.0
უკრაინა	1,500	7.950%	23/02/2021	CC/CC/Ca	79.7	14.0	1221.1

წყარო: ბლუმბერგი




აქციები

საქართველოს ბანკის ჰოლდინგის (BGEO LN) აქციები დაიხურა 19.09 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP) (-4.55% წინა კვირასთან შედარებით და +2.36% გასულ თვესთან შედარებით). ვაჭრობის მოცულობამ 236 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 18.42–20.14 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 53 ათასი აქცია შეადგინა, რაც გასული თვის მონაცემზე მეტია. FTSE 250 ინდექსმა, რომელშიც BGEO შედის, წინა კვირასთან მოიმატა 0.25%-ით ხოლო წინა თვესთან მოიმატა 0.16%-ით. ნავაჭრი აქციების მოცულობამ კომპანიის საბაზრო კაპიტალიზაციის 0.60% შეადგინა.

თიბისი ბანკის (TBCB LI) აქციები დაიხურა 8.45 აშშ დოლარში (+2.18% წინა კვირასთან შედარებით და უცვლელია წინა თვესთან შედარებით). ბანკის გლობალური სადეპოზიტო ხელწერილებით (GDR) ვაჭრობის მოცულობამ 7 ათასს გადააჭარბა, US\$ 8.27–8.60 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 17 ათასი აქცია შეადგინა, რაც ნაკლებია გასული თვის შესაბამის მონაცემთან შედარებით.

საქართველოს საფონდო ბირჟაზე საქართველოს ბანკის აქციები ივაჭრებოდა 39.00 ლარად (+2.6% წინა კვირასთან შედარებით). შედეგად გალტ ენდ თაგარტის ინდექსმა (G&T Index) მოიმატა და 887.23-ს გაუტოლდა (+2.59% წინა კვირასთან შედარებით).

საქართველოს ბანკი (BGEO LN)




მოცულობა, მლნ (მარჯვ. ღერძი)

ბოლო ფასი, ფუნტ სტერლინგი (მარცხ. ღერძი)

წყარო: ბლუმბერგი

თიბისი ბანკი (TBCB LI)



მოცულობა, მლნ (მარჯვ. ღერძი)

ბოლო ფასი, აშშ დოლარი (მარცხ. ღერძი)

წყარო: ბლუმბერგი

აღმოსავლეთი ევროპის ბანკები

კოდი	აქციის ფასი, აშშ \$	კაპიტალიზაცია, მლნ აშშ \$	1თვე, ცვლ.	3თვე, ცვლ.	6თვე, ცვლ.	წლის დას-დან, ცვლ.	წ/წ ცვლ.
BGEO*	30.92	28.83	1,139	1.5%	-4.8%	4.0%	-10.9%
TBC	8.88	8.45	414	0.0%	-19.5%	-23.2%	-32.9%
Halyk Bank	6.08	6.10	1,664	-0.3%	-15.3%	-22.8%	-28.2%
KKB	2.89	2.89	1,152	0.0%	6.3%	-10.2%	-23.9%
VTB Bank	2.45	2.27	14,710	7.9%	4.4%	-16.5%	-1.3%
Vozrozhdenie Bank	11.35	11.35	270	0.0%	0.0%	0.0%	0.0%
Sberbank	6.10	6.27	33,811	25.1%	32.6%	-1.6%	54.7%

წყარო: ბლუმბერგი

შენიშვნა: *BGEO ივაჭრება ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP) და მოცემულია აშშ დოლარის ეკვივალენტში (US\$)



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი მკაცრად კონფიდენციალურია და მომზადებულია სს "გალტ ენდ თაგარტის" ("Galt & Taggart") მიერ, რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებელია. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოთხოვნებით დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევს, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამოწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მოთხოვნილი თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამოწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამოწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფს ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ეს დოკუმენტი კონფიდენციალურია გალტ ენდ თაგარტის კლიენტებისთვის და კვლევითი მასალების გამოწერებისთვის. ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტ ენდ თაგარტი
მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102, საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: gt@gt.ge